

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“



პროფესიული განათლების განყოფილება

შეთანხმებულია
სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან

დამტვიცნებულია
შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის
2014 წლის 27 ივნისის №08 ბრძანებით

ნდ №2-0326-V.01

გემზანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

III საფეხური

წარმოდგენილია
პროფესიული განათლების
განყოფილების მიერ
სხდომის ოქმი №05 , 10 ივნისი, 2014 წ.

ბათუმი 2014



წინასიტყვაობა

გემბანის მეზღვაურის პროფესიული განათლება იწყება III საფეხურიდან, რომელიც შეესაბამება გემბანის დამხმარე დონის რიგითი მეზღვაურის კვალიფიკაციას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ერთი მხრივ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და გემბანის მეზღვაურის (111051) პროფესიული სტანდარტის, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს კანონის – „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. საზღვაო ტრანსპორტის დარგში საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), რომლის დადგენილებების რეგულირებასა და კონტროლს ქვეყანაში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. IMO-ს მოთხოვნები საზღვაო კადრების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გაწერილია საერთაშორისო საზღვაო კონვენციაში „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების შესახებ“ (STCW), 2012 წლიდან ძალაში შევიდა კონვენციის ახალი რედაქცია მანილას შესწორებებით (STCW Manila Amendments). საქართველო 1993 წელს შეუერთდა კონვენციას და აიღო ვალდებულება მეზღვაურთა მომზადების პროცესის სრულ თავსებადობაზე კონვენციის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს მეზღვაურთა მომზადების პროცესის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შემოწმება წარმოებს ხარისხის სისტემის სამსახურის მიერ, რომელიც არ აღემატება 12 თვეს.

საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებებისა და პროგრამის პერიოდული შეფასების გათვალისწინებით პროგრამაში შესაძლებელია ცვლილების ან დამატების შეტანა. ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის სისტემის სამსახურის მიერ.

გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია ოსმან ხინკილაძე.



I. პროგრამის მოცულობა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტია (1560 საათი) და მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტს. კომპონენტებს შორის კრედიტები ნაწილდება შემდეგი თანაფარდობით:

- თეორიის კომპონენტი - 30 კრედიტი (780 საათი)
- პრაქტიკის კომპონენტი - 30 კრედიტი (780 საათი)

კრედიტი გამოხატავს სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტი მოიცავს 26 ასტრონომიულ საათს და გულისხმობს, თეორიის კომპონენტის ფარგლებში როგორც პროფესიულ სტუდენტთან მუშაობის/საკონტაქტო, ასევე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ საათებს, პრაქტიკის კომპონენტში - მხოლოდ საკონტაქტო საათებს. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა, დატვირთვა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობას და გამოცდის ჩაბარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება *გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია* და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.



II. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.¹

გემზე დასაქმებულ ეკიპაჟს მუშაობა უხდება არაერთგვაროვან და სხვადასხვა ხასიათის საფრთხეებთან დაკავშირებულ, ექსტრემალურ პირობებში, რის გამოც ეკიპაჟის ყოველი წევრი მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად გაატაროს ღონისძიებები გემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის და შეასრულოს სამაშველო ოპერაციები ზღვაზე. გამომდინარე აქედან, გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას აპლიკანტმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება² იმ დაწესებულებაში, რომელსაც აქვს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შესაბამისი აღიარება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსის შემთხვევაში აპლიკანტის უპირატესობა განისაზღვრება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ფარგლებში სასწავლო დისციპლინაში „გეოგრაფია“ მიღწეული შედეგებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე. ჩარიცხვისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას განსაზღვრავს შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.³

¹ სწავლის გაგრძელება უფრო მაღალ საფეხურზე, IV საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე (ან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე), შესაძლებელია მხოლოდ სრული ზოგადი განათლებისა და მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონის საფუძველზე, რაც განპირობებულია მეზღვაურის ასაკზე STCW კონვენციის II თავის, II/5 მუხლით დადგენილი მოთხოვნებითა და ასევე გემბანის რიგითი მეზღვაურის (111051) პროფესიული სტანდარტით.

² სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით: ა) International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის ბრძანება N 215/ნ.



III. პროფესიული პროგრამის მიზანი

გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და გემბანის რიგითი მეზღვაურის (111051) პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც შემდგომ დასაქმდებიან.⁴

- საზღვაო სავაჭრო გემებზე;
- სამგზავრო გემებზე;
- ნავსადგურის სასამსახურო-დამხმარე ფლოტის გემებზე;
- თევზსაჭერი ფლოტის გემებზე და სხვა.

³ გემზე მუშაობის უფლების მიმნიჭებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, რომელიც სასწავლებლის მიერ კურსდამთავრებულზე გაცემული პროფესიული დიპლომისა და გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟის საფუძველზე გასცემს შესაბამის „საზღვაო დიპლომს“, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.



IV. სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ძირითადი საერთაშორისო საზღვაო კონვენციებისა და საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის საფუძვლები; - ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ; რანჰოლტისა და ტაკელაჟის მოწყობილობები; - გემის საჭის, სატვირთო, ღუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; - გარე კორპუსის ნაწილის მომზადება ნაოსნობისათვის; გემის საღებავების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენების წესები; - გემბანის ტექნიკური საშუალებების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; ამწე-სატვირთო მექანიზმების ექსპლუატაციის წესები; - ნავიგაციის ძირითადი ტერმინები, ცნებები და განმარტებები; საჭის მართვის ბრძანებები და მათი დანიშნულებები, მათ შორის ინგლისურ ენაზე; - მოვალეობები დაკავშირებული დაკვირვების წარმოებასთან, მათ შორის ხმოვან სიგნალზე, შუქნიშანზე ან სხვა ობიექტზე წარმოებულ მიმართულებაზე გრადუსებში და მეოთხედებში; - სანავიგაციო ვახტის გაწევის წესები; უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები გემბანზე სამუშაოდ; - თავისი მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები; - ტვირთის მიღების, ჩაბარების, განათავსების და დამაგრების წესები; - განგაშის ტიპების ჩამონათვალი; განგაშის სიგნალები. განრიგი განგაშის პირობებში; უსაფრთხო ვახტის გაწევის ნორმები; - მარკირების სახეები გემბანზე; ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - გემის სამუშაოების შესრულება, მათ შორის: სადურგლო, სამღებრო, სატაკელაჟო სამუშაოები. კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოები; - სანავიგაციო და სადგომი ვახტის წარმოება, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების გაწევა ვახტაზე; გემის ვახტის გაწევის წესების დაცვა; - საჭის მოწყობილობისა და კურსის მაჩვენებლის კონტროლი. გიროკომპასისა და მაგნიტური კომპასის



	<p>გამოყენება საჭის მართვის დროს, ავტომატურიდან ხელით მართვაზე გადასვლის ბრძანების შემთხვევაში და პირიქით;</p> <ul style="list-style-type: none"> - განახორციელოს გემის მიზმის ოპერაციები, საჭის, სატვირთო და ბუქსირების საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცედურები; - მოამზადოს სათავსოები, სატვირთო ტრიუმები და გემბანი ტვირთის განსათავსებლად; მიიღოს, ჩაიბაროს, განათავსოს და დაამაგროს ტვირთი. გაწმინდოს ტრიუმები და გაასუფთაოს გემბანი გადმოტვირთვის ოპერაციის შემდეგ; - უზრუნველყოს ნაოსნობის უსაფრთხოება. უზრუნველყოს სატრანსპორტო უსაფრთხოების სათანადო დონე, გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ✓ ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ✓ ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო; ✓ ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა. - იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა; - განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: პიროტექნიკური საშუალებები, თანამგზავრული ავარიული რადიო ბუები და ტრანსპონდერები; - განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში; - თავისი კომპეტენციების ფარგლებში იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - საჭის მოწყობილობის, კურსის მაჩვენებლის კონტროლისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და კაპიტნის სავახტო თანაშემწის ინფორმირება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> - აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - გუნდური მუშაობა; - განახორციელოს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწევის დროს. სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადეკვატურად მოქმედება;



	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გემის შიდა კავშირისა და ავარიული სიგნალიზაციის ეფექტურად გამოყენება; ინტერნეტ-რესურსებით კონტაქტების დამყარება, ინფორმაციის მოძიება და გაცვლა.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> - კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.
ღირებულებები	<p>მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან, ერთიანი გუნდის შეგრობება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას.</p>



V. სწავლის შედეგების რუქა

№	სასწავლო კურსი/მოდული	სწავლის შედეგები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	გემის აგებულება და მოწყობილობები	+	+				
2.	ნავიგაციის საფუძვლები	+	+	+	+		
3.	საზღვაო საქმე	+	+	+	+		+
4.	ძირითადი საზღვაო - საერთაშორისო კონვენციების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები	+			+	+	+
5.	საბაზისო კონვენციური მომზადება და უსაფრთხოება ზღვაზე	+	+		+	+	+
6.	ინგლისური ენა - სპეციალური ტერმინოლოგია				+		
7.	ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები				+		
8.	საწარმოო და საცურაო პრაქტიკა	+	+	+	+	+	+



VI. სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კრედიტის რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფში მუშობა	საწარმოო და საცურო პრაქტიკა	შუალედური გამოცდა	დასვენითი გამოცდა		
1.	გემის აგებულება და მოწყობილობები	5	26	32	-	2	4	66	130
2.	ნავიგაციის საფუძვლები	5	23	39	-	2	3	63	130
3.	საზღვაო საქმე	5	26	40	-	2	4	58	130
4.	ძირითადი საზღვაო - საერთაშორისო კონვენციების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები	3	17	25	-	2	2	32	78
5.	საბაზისო კონვენციური მომზადება და უსაფრთხოება ზღვაზე	5	23	43	-	2	4	58	130
6.	ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები	2	4	29	-	2	3	14	52
7.	ინგლისური ენა - სპეციალური ტერმინოლოგია	5	26	60	-	2	4	38	130
8.	საწარმოო და საცურო პრაქტიკა	30	-	-	770	4	6	-	780
<i>სულ</i>		<i>60</i>	<i>145</i>	<i>268</i>	<i>770</i>	<i>18</i>	<i>30</i>	<i>329</i>	<i>1560</i>



სასწავლო კურსების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტის საათობრივი დატვირთვა სასწავლო კვირების მიხედვით

თეორიის კომპონენტი																									
		სასწავლო კვირა																							
N	სასწავლო კურსი/მოდული	კრედიტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	სო.
1	ინგლისური ენა - სპეციალური ტერმინოლოგია	5	8	8	8	8	8	8	6	8	8	8	8	8	8	8	8	12							130
2	საზღვაო საქმე	5	6	7	7	7	7	7	8	8	6	7	7	7	7	7	7	7	6	12					130
3	ნავიგაციის საფუძვლები	5	10	10	10	12	9	10	9	9	10	8	7	8	8	10									130
4	ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები	2	7	7	7	4	7	6	7	7															52
5	გემის აგებულება და მოწყობილობები	5	7	7	8	8	8	8	8	8	7	7	8	7	7	4	8	8	12						130
6	საბაზისო კონვენციური მომზადება და უსაფრთხოება ზღვაზე	5									2	3	4	6	4	5	10	6	14	16	14	14	16	16	130
7	ძირითადი საზღვაო - საერთაშორისო კონვენციების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები	3									7	7	6	4	6	6	7	7	4	6	8	10			78
			38	39	40	39	39	39	38	40	40	40	40	40	40	40	40	40	36	34	22	24	16	16	780

გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 46 კვირა, სადაც თეორიის კომპონენტს ეთმობა 22 კვირა, ხოლო პრაქტიკის კომპონენტს -24 კვირა/6 თვე.⁵
VII. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

⁵ STCW Convention, 1978, Manila Amendments. Regulation II/4



კრედიტის მისაღებად გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) „სსსც ეკვატორში“ მოიცავს:

თეორიის კომპონენტის ფარგლებში:

- ა) ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- გ) გამოცდების ჩაბარებას.

პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში:

- ა) პრაქტიკულ მეცადინეობას
- ბ) გამოცდის ჩაბარებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებზე და პრაქტიკაზე დასწრება სავალდებულოა.

VIII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით. პროფესიულ სტუდენტი კრედიტს ღებულობს მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დადებითი შეფასება არის ხუთი სახის:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასება არის ორი სახის:



- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა წარმოებს კომისიასთან, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანებით. საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი, დარგის ექსპერტი, დამსაქმებელი ან ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

შეფასების მეთოდი დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკაზე და განმარტებულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. შეფასების მეთოდებს, შეფასების კომპონენტებს შორის ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი. შეფასების კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

IX. სწავლების მეთოდები

გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის „სსსც ეკვატორში“ სწავლების მეთოდების შერჩევა გამომდინარეობს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და მის შერჩევას ახდენს კურსის ხელმძღვანელი. ძირითადად მნიშვნელობა ენიჭება სწავლების იმ ფორმატსა და მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობენ პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის შექმნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას.



სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა/სავარჯიშო, ინდივიდუალური და ჯგუფში მუშაობა, სემინარი, დისკუსია, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, კონსულტირება, გონებრივი იერიში, როლური/სიტუაციური თამაშები, შემთხვევის ანალიზი და სხვ. კონკრეტული სასწავლო კურსისათვის ადეკვატური სწავლების მეთოდები გაწერილია შესაბამის სილაბუსში.

სწავლება მიმდინარეობს მცირერიცხოვან ჯგუფებში. ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 20 პირს, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისას - 10 პირს.



X. ინფორმაცია გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

№	სასწავლო კურსი/მოდული	პროფესიული განათლების მასწავლებელი (სახელი, გვარი)	კვალიფიკაცია
1.	გემის აგებულება და მოწყობილობები	ოსმან ხინკილაძე (სასწავლო კურსის შემდგენელი); დავით დვალიშვილი	ტექნიკოსი გემწამყვანი ტექნიკოსი გემწამყვანი
2.	ნავიგაციის საფუძვლები	ოსმან ხინკილაძე	ტექნიკოსი გემწამყვანი
3.	საზღვაო საქმე	ოსმან ხინკილაძე	ტექნიკოსი გემწამყვანი
4.	ძირითადი საზღვაო - საერთაშორისო კონვენციების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები	ოსმან ხინკილაძე (სასწავლო კურსის შემდგენელი); დავით დვალიშვილი	ტექნიკოსი გემწამყვანი ტექნიკოსი გემწამყვანი
5.	საბაზისო კონვენციური მომზადება და უსაფრთხოება ზღვაზე	ამირან მგელაძე დურმიშხან შერვაშიძე	ინჟინერ გემთწამყვანი ექიმი პედიატრი
6.	ინგლისური ენა - სპეციალური ტერმინოლოგია	მაია დავითიანი	მთარგმნელი– რეფერენტი (ინგლისური ენა)
7.	ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები	მანანა აბუსელიძე	ფიზიკა, გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის მასწავლებელი
8.	საწარმოო და საცურაო პრაქტიკა	ამირან მგელაძე	ინჟინერ გემთწამყვანი



XI. ინფორმაცია გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

„სსსც ეკვატორს“ გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შემდეგი მატერიალური რესურსები:

- სასწავლო აუდიტორიები;
- კომპიუტერული ტექნიკა;
- სპეციალიზებული ბიბლიოთეკა; სპეციალური საზღვაო-სასწავლო DVD ფილმოთეკა;
- თანამშრომლობის მემორანდუმი სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აკადემიის ბიბლიოთეკითა და მასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის თაობაზე (19.04.2013.);
- საბაზისო კონვენციური მომზადების აღჭურვილობა და დანადგარები;
- ინდივიდუალური სამაშველო საშუალებები: სამაშველო წრეები, ჟილეტები, გასაბერი სამაშველო ჟილეტები, ჰიდროთერმოკოსტიუმები, ინდივიდუალური თბოდამცავი საშუალებები;
- კოლექტიური სამაშველო საშუალებები: სამაშველო ტივები (გასაბერი და მკრივი), სამაშველო ნავეები;
- სამაშველო საშუალებების მარაგისა და აღჭურვილობის თვალსაჩინო სტენდები;
- პიროტექნიკური სასიგნალო და რადიოტექნიკური მოწყობილობების (EPIRB, SART, VHF) თვალსაჩინო სტენდები;
- ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟერი (SHBFF);
- პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების აღჭურვილობა და თვალსაჩინო სტენდები;
- მესაჭის მოსამზადებელი ტრენაჟერი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შემდეგ მისამართებზე:

ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №29;

ქ. ბათუმი, დასახლება ურეხი;

გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“ (მფლობელი შპს სსც „ანრი“).

XII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, თუ მას აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმებლის გვარი, სახელი, თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები



დოკუმენტში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის ფურცელი

გვარი, სახელი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	ხელმოწერა	გაცნობის თარიღი



შეთანხმების ფურცელი

შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება

გემბანის მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

კოდი: ნდ №2-0326-V.01
სილაბუსი

დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ქვეგანყოფილება—ხარისხის სისტემის სამსახური

დოკუმენტის შემსრულებელი შორეული ნაოსნობის კაპიტანი ო. ხინკილაძე

შეთანხმება

№	შეთანხმებლის თანამდებობა, სახელი და გვარი	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების ვადა	შენიშვნა
1	პროფესიული განათლების განყოფილების უფროსი				
2	ხარისხის სისტემის მენეჯერი				
3					
4					

დოკუმენტი შესათანხმებლად დააგზავნა

(ხელმოწერა, სახელი, გვარი)

თარიღი